



## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №04

2013 წლის 23 იანვარი  
ქ.ქობულეთი

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის №261 განკარგულებით დამტკიცებული „საფეხბურთო საკლუბო გუნდის „შუქურა“-ს მხარდაჭერის პროგრამა“-ში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის №261 განკარგულებით დამტკიცებული „საფეხბურთო საკლუბო გუნდის „შუქურა“-ს მხარდაჭერის პროგრამა“-ში თანახმად დანართისა;
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.მუავანაძე).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე. ბაგრატიონი

**საფეხბურთო საკლუბო გუნდის “შუქურას” მხარდაჭერის პროგრამა**

**2013 წელი**  
ზომის ერთეული ლარი

**1) პროგრამის სახელწოდება:**

საფეხბურთო საკლუბო გუნდის “შუქურას” მხარდაჭერის პროგრამა

**2) პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:**

2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე;

**3) პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:**

**823000 (რვაასოცდასამი ათასი) ლარი**

**4) პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

ა) ძირითადი – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა 823 000 (რვაასოცდასამი ათასი) ლარი;

**5) პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორბანო:**

შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „შუქურა“

**6) პროგრამის აღწერა და მისი აქტუალურობის დასაბუთება:**

ქართული ფეხბურთი გასული საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ბოლო პერიოდში ჩვენს რეგიონში ფეხბურთი არც თუ სახარბიელო დღეშია, შესაბამისად, საფეხბურთო კლუბ „შუქურასათვის“ გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა გავლენას მოახდენს გუნდის შემდგომ გაძლიერებასა და წარმატებით ასპარეზობაზე. საფეხბურთო საკლუბო გუნდი, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ეტაპობრივად გამოიყენებს ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს: საფეხბურთო კლუბის შრომითი ანაზღაურების (მათ შორის ,საპრემიო ფონდის), ოფისის ხარჯების, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატისა და გათამაშებებში მონაწილეობის შენატანის, გუნდის საწვრთნელი შეკრებების, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, მივლინების, ღონისძიებების ორგანიზების დაფინანსების, სამედიცინო ხარჯის, ინვენტარისა და უნიფორმების, არაფინანსური აქტივის, აგრეთვე სხვა დანარჩენი საქონელის შეძენისათვის.

**7. პროგრამის მიზნები:**

| № | პროგრამის მიზნები   |
|---|---|
| 1 | ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საფეხბურთო საკლუბო გუნდისათვის მატერიალური მხარდაჭერა საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში მათი წარმატებით მონაწილეობის მიზნით. |
| 2 | ფეხბურთის სახეობის განვითარება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე   |

|   |   |
|---|---|
|   | მოსახლეობის, სასწავლო დაწესებულებების, საზოგადოებრივ ფართო ფენებში სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციის ხელშეწყობა. ფეხბურთის სახეობის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით სპორტული შეჯიბრებებისა და ტურნირების, საწვრთნელი შეკრებების ორგანიზება, ამხანაგური მატჩების გამართვა, ახალი ფეხბურთელების შერჩევა, გუნდის ფიზიკურ-ტექნიკურ-ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური დონის ამაღლება და ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისათვის მომზადება. |
| 3 | საფეხბურთო საკლუბო გუნდის შემდგომი პოპულარიზაცია. წარსულში ყველასათვის ცნობილი „შუქურას“ რებრენდინგის მიზნით, სტადიონის საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობა და თანამედროვე სტანდარტების დანერგვა. გამოჩენილი ქობულეთელი სპორტსმენების და ლეგენდარული ფეხბურთელების სახელების პოპულარიზება  |

### 8. პროგრამის ბიუჯეტი:

ა) პროგრამის დაფინანსება წლებების მიხედვით

| № | წყაროს დასახელება                             | 2013 წელი | სულ    |
|---|---|-----------|--------|
|   | ძირითადი                                      | 823 000   | 823000 |
|   | ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი |           |        |
|   | დამატებითი                                    | 0         | 0      |
|   | სულ   | 823000    | 823000 |

### 9. პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

| №         | პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება (დეტალური გაშიფრული)         | განზომილების ერთეული | სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი) |
|-----------|--|----------------------|------------------------------|
| 2013 წელი |  |                      |                              |
| 1         | შრომის ანაზღაურება   | ლარი                 | 348 040                      |
| II        | <b>საქონელი და მომსახურება</b>   |                      |                              |
| 2         | მივლინება  | ლარი                 | 27 000                       |
| 3         | ოფისის ხარჯი   | ლარი                 | 38 200                       |
| 4         | სამედიცინო ხარჯები   | ლარი                 | 2 000                        |
| 5         | რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | ლარი                 | 1 875                        |
| 6         | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები       |                      | 22 000                       |
| 7         | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება   |                      | 116 785                      |
|           | არაფინანსური აქტივი  |                      |                              |
| 8         | ძირითადი აქტივები  |                      | 267100                       |
|           | <b>სულ</b>   |                      | <b>823000</b>                |

10) დამატებითი ინფორმაცია:

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

I კვარტალი 277855ლარი; II კვარტალი 206140 ლარი;  
 III კვარტალი 225085ლარი; IV კვარტალი 113920 ლარი

ბ) პროგრამის მოსრუებულ პირთა შერჩევის წესი:

პროგრამის მომსახურებით ისარგებლებს შპს “საფეხბურთო

კლუბი “შუქურა”

| დასახელება                   |             |          |               |               |
|------------------------------|-------------|----------|---------------|---------------|
|                              | შტატი       | ხელფასი  | ოკე           | წელი          |
|                              | <b>54,0</b> | <b>X</b> | <b>19 250</b> | <b>231000</b> |
| დირექტორი                    | 1           | 550      | 550           | 6 600         |
| დირექტორის მოადგილე          | 1           | 500      | 500           | 6 000         |
| დირექტორის მოადგილე          | 1           | 500      | 500           | 6 000         |
| გუნდის უფროსი                | 1           | 450      | 450           | 5 400         |
| გუნდის ადმინისტრატორი        | 1           | 400      | 400           | 4 800         |
| იურისტი                      | 1           | 450      | 450           | 5 400         |
| ბუღალტერი                    | 1           | 450      | 450           | 5400          |
| გუნდის მთავარი მწვრთნელი     | 1           | 550      | 550           | 6 600         |
| გუნდის უფროსი მწვრთნელი      | 1           | 500      | 500           | 6 000         |
| მწვრთნელი                    | 3           | 300      | 900           | 10 800        |
| გუნდის სელექციონერი          | 1           | 300      | 300           | 3 600         |
| გუნდის ექიმი                 | 1           | 450      | 450           | 5400          |
| გუნდის მასაჟისტი             | 1           | 300      | 300           | 3 600         |
| თამაშის უსაფრთხოების ოფიცერი | 1           | 300      | 300           | 3 600         |
| მინდვრის მომვლელი            | 1           | 250      | 250           | 3 000         |
| მძღოლი                       | 2           | 375      | 750           | 9 000         |
| ტექნიკოსი                    | 1           | 250      | 250           | 3 000         |
| დარაჯი                       | 2           | 200      | 400           | 4 800         |
| მეგარდერობე                  | 2           | 200      | 400           | 4 800         |
| კომენდანტი                   | 2           | 200      | 400           | 4 800         |
| მუშა                         | 2           | 200      | 400           | 4 800         |
| დამლაგებელი                  | 3           | 200      | 600           | 7 200         |
| ფეხბურთელი                   | 23          | 400      | 9 200         | 110 400       |

**გ) პროგრამით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პერსონალის სამტატო განრიგი და სახელფასო ფონდი**

შენიშვნა: პროგრამის შრომის ანაზღაურების მუხლში აგრეთვე გათვალისწინებულია საპრემიო ფონდი, 117040ლ. ოდენობით

**დ) პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების დეტალური ჩაშლა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად**

| კოდი          | ხარჯების დასახელება   | თანხა         |
|---------------|---|---------------|
| <b>1</b>      | <b>შრომის ანაზღაურება</b>   | <b>348040</b> |
|               | ხელფასები   | 231000        |
|               | პრემია  | 117040        |
|               | <b>საქონელი და მომსახურება</b>  | <b>207860</b> |
|               | <b>მივლინება</b>  | <b>27000</b>  |
| <b>3</b>      | <b>ოფისის ხარჯი</b>   | <b>38200</b>  |
| <b>3.1.</b>   | საწერ-სახაზავი ქაღალდი ,საბუღალტრო ფორმები და სხვა ანალოგიური მასალები  | 1200          |
| <b>3.2.</b>   | სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟებასთან /დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი                         | <b>6000</b>   |
| <b>3.3.</b>   | საოფისე ავეჯი   | 3000          |
| <b>3.4.</b>   | საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი   | 3000          |
| <b>3.5.</b>   | რეცხვის ,ქიმიკატების და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი   | <b>6000</b>   |
| <b>3.6.</b>   | კავშირგაბმულობის ხარჯი  | <b>1000</b>   |
| <b>3.7.</b>   | <b>კომუნალური ხარჯი</b>   | <b>24000</b>  |
|               | ელექტროენერჯის ხარჯი  | 12000         |
|               | წყლის ხარჯი   | 6000          |
|               | ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი  | 6000          |
| <b>4</b>      | <b>სამედიცინო ხარჯები</b>   | <b>2000</b>   |
| <b>5</b>      | <b>რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები</b>                                | <b>1875</b>   |
| <b>6</b>      | <b>ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯები</b>   | <b>22000</b>  |
|               | საწვავ-საცხები მასალები   | 17200         |
|               | სათადარიგო ნაწილები   | 4800          |
| <b>7</b>      | <b>სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება</b>   | <b>116785</b> |
| <b>7.1.</b>   | სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯებს (სამწვრთნელო შეკრება) | 91285         |
| <b>7.2.</b>   | აუდიტორული მომსახურება  | 4500          |
| <b>7.2.1.</b> | სხვა ხარჯი (ბანკის ხარჯი)   | 500           |
| <b>7.3.</b>   | კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები (შენატანი ფედერაციაში)                         | 20000         |
| <b>7.4.</b>   | სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯს (ტენდერის ხარჯი)                                      | 500           |
| <b>8</b>      | <b>არაფინანსური აქტივი</b>  | <b>267100</b> |

|      |                                  |               |
|------|----------------------------------|---------------|
| 8.1. | მანქანა დანადგარები და ინვენტარი | 267100        |
|      | <b>სულ ხარჯი</b>                 | <b>823000</b> |